KA020152712107820

# საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის
# ბრძანება

**№ 1-1/407** **30 / სექტემბერი / 2020 წ.**

### „2020 წლის ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბალანსის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 23 დეკემბრის №1-1/601 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ" საქართველოს კანონის 168-ე მუხლი შესაბამისად,

**ვბრძანებ**:

1. „2020 წლის ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბალანსის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 23 დეკემბრის № 1-1/601 ბრძანებაში (ვებგვერდი, 25/12/2019, 300300000.22.024.016614) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) საპროგნოზო ბალანსი 2020 წლის 1 იანვარიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით" ჩამოყალიბდეს ახალი თანდართული რედაქციით.
2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრი — ხელმოწერილია/შტამპდასმულია ელექტრონულად — ნათელა თურნავა